ხორვატია-საქართველო

(ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

ავტორი: **ნინო ცუხიშვილი**
IDFI-ის სამართლის ექსპერტი/ ღია საზოგადოების ფონდის
ადამიანის უფლებათა სტაჟირების პროგრამის 2013 წლის სტიპენდიანტი

სტატია მომზადდა ღია საზოგადოების ფონდის (OSF) ადამიანის უფლებათა სტაჟირების 2013 წლის გრანტის ფარგლებში.

სტატიაში გამოქვეყნებული მოსაზრებებზე პასუხისმგებელია IDFI (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) და შესაძლებელია ისინი არ ემთხვეოდეს ღია საზოგადოების ფონდის შეხედულებებს.

შესავალი

სტატიის მიზანია საქართველოსა და ხორვატიის ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი და საქართველოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების თაობაზე რეკომენდაციების წარმოდგენა საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ **ხორვატიამ 2013 წლის 15 თებერვალს მიიღო ახალი კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ**, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უახლეს საკანონმდებლო რეგულირებას ინფორმაციის თავისუფლების სფეროში და შესაბამისობაშია ევროკავშირის მიერ მიღებულ რეგულაციებთან ინფორმაციის

ხელმისაწვდომობის თაობაზე.[1] შესაბამისად, საქართველოსათვის საინტერესოა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება ინფორმაციის მიღების უფლების ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავისა (ინფორმაციის თავისუფლება) და ხორვატიის კანონის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ შედარებითი ანალიზი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ინფორმაციის მფლობელები, პროაქტიული გამოქვეყნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვები და პროპორციულობისა და საჯარო ინტერესის ტესტი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პირობები და პროცედურები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ზედამხედველობის მექანიზმი და ინფორმაციის გაცემის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა, ასევე ინფორმაციის ხელახლა გამოყენების ინსტიტუტი.

1. ინფორმაციის მფლობელები

ინფორმაციის მფლობელი სუბიექტების წრე განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საკანონმდებლო ნორმების მოქმედების ფარგლებს და იმ დაწესებულებების ჩამონათვალს, რომლებიც ვალდებული არიან უზრუნველყონ მათთან დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. საქართველოსა და ხორვატიის კანონმდებლობების საფუძველზე, ინფორმაციის მფლობელი სუბიექტების წრე განსხვავებულია და შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ფარგლები განსხვავებულად რეგულირდება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ინფორმაციის მფლობელი სუბიექტებია ადმინისტრაციული ორგანო და სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.[2] ხორვატიის კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაციის მფლობელი სუბიექტების წრე მოიცავს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს; სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს; იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ფუნქციებს; სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ბიუჯეტიდან დაფინანსებულ

[1] ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2003 წლის 17 ნოემბრის დირექტივა №2003/98/EC საჯარო სექტორში დაცული ინფორმაციის ხელახლა გამოყენების თაობაზე; ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2001 წლის 30 მაისის რეგულაცია №1049/2001 ევროპის პარლამენტის, ევროსაბჭოსა და ევროპის კომისიის დოკუმენტების საჯარო ხელმისაწვდომობის თაობაზე.

[2] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 27-ე მუხლი, ,,ა“ ქვეპუნქტი.

იურიდიულ პირებს; ასევე კერძო კომპანიებს, სადაც სახელმწიფო ან ადგილობრივი/რეგიონალური თვითმმართველობის ორგანო ფლობს წილის 50% (პროცენტს) ან მეტს.[3]

შესაბამისად, ხორვატიის კანონმდებლობით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ფარგლები უფრო ფართოა და უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო კომპანიებიდან, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

2. პროაქტიული გამოქვეყნება

საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება მნიშვნელოვანია საჯარო დაწესებულების გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდისა და საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებების შემცირების მიზნით.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2012 წლის 25 მაისს შესული ცვლილების თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი ელექტრონული საშუალებებით, ხოლო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა განისაზღვრება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით.[4] ამ დროისათვის არ არის მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის თაობაზე და აღნიშნული ნუსხა შემუშავების პროცესშია, რაც საჯარო დაწესებულებების მიერ პროაქტიულად ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულების შესრულებას აფერხებს.

საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა განსაზღვრულია ხორვატიის კანონით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ.[5] საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. საჯარო დაწესებულების ფუნქციონირების მიზნებისათვის მიღებული კანონები და ნორმატიული აქტები;
2. საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და გადაწყვეტილებები, რომელიც გავლენას ახდენს პირთა ინტერესებზე;
3. კანონებისა და ნორმატიული აქტების პროექტები;

[3] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-5 მუხლი, მე-2 ნაწილი.
[4] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 28-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.
[5] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-10 მუხლი, 1-ლი ნაწილი.

4. საჯარო დაწესებულების წლიური გეგმები, პროგრამები, სტრატეგიები, ინსტრუქციები, სამუშაო ანგარიშები, საფინანსო ანგარიშები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები, რომელიც დაკავშირებულია საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;
5. ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ფინანსური წყაროების, ბიუჯეტისა და ბიუჯეტის აღსრულების თაობაზე;
6. ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მიერ გაცემული სუბსიდიების, გრანტებისა და შეწირულობების შესახებ, მათ შორის აღნიშნულის მიმღებ პირთა სიისა და ოდენობის თაობაზე;
7. ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შიდა ორგანიზაციის თაობაზე, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირების ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;
8. საჯარო დაწესებულების ოფიციალური სხდომის ოქმები და გადაწყვეტილებები;
9. ინფორმაცია საჯარო შესყიდვების პროცედურებისა და ტენდერის დოკუმენტების თაობაზე, მათ შორის კონტრაქტით აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ;
10. ინფორმაცია გამოცხადებული ტენდერისა და ტენდერის დოკუმენტების თაობაზე;
11. ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შექმნილი რეესტრის თაობაზე;
12. ყველაზე ხშირად მოთხოვნილი ინფორმაცია; სხვა ინფორმაცია (ახალი ამბები, პრეს-რელიზები, ინფორმაცია საჯარო დაწესებულებების აქტივობების თაობაზე).

შესაბამისად, ხორვატიის კანონმდებლობა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან შედარებით, აწესებს უფრო მაღალ სტანდარტს, როდესაც პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას განსაზღვრავს კანონის საფუძველზე, რომელიც ერთიან სტანდარტს აწესებს ყველა საჯარო დაწესებულებისათვის.

3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვები და პროპორციულობისა და საჯარო ინტერესის ტესტი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვები დაწესებულია, როგორც საქართველოს, ასევე ხორვატიის საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვები უნდა იყოს გონივრული და პროპორციული შეზღუდვის კანონიერ მიზანთან მიმართებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესებს შეზღუდვებს ინფორმაციის გაცემაზე, თუ იგი შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.[6] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ შეიცავს პროპორციულობისა და საჯარო ინტერესის ტესტს, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის საჯაროობის შეფასებას მისი გასაიდუმლოების მიზნებთან მიმართებით.

ხორვატიის კანონმდებლობის თანახმად, საჯარო დაწესებულებას შეუძლია შეზღუდოს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, თუ ინფორმაცია მიჩნეულია სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, საგადასახადო და პერსონალურ საიდუმლოებად; ასევე თუ ინფორმაცია წარმოიშვა საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მისი გამჟღავნება ზიანს მიაყენებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე; თუ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია საერთაშორისო ხელშეკრულებით.[7] აღსანიშნავია, რომ ხორვატიის კანონმდებლობა, ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი საფუძვლით ინფორმაციის გასაიდუმლოებისას აწესებს საჯარო დაწესებულების მიერ პროპორციულობისა და საჯარო ინტერესის ტესტის გამოყენების ვალდებულებას.[8] გარდა ამისა, საჯარო ფინანსების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის პროპორციულობისა და საჯარო ინტერესის ტესტის გამოყენების გარეშე.[9]

შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასებას პროპორციულობისა და საჯარო ინტერესის ტესტის გამოყენების საფუძველზე და ხელს უწყობს საჯარო ფინანსების ხარჯვის მაქსიმალურ გამჭვირვალობას.

---

[6] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 28-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.

[7] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-15 მუხლი, მე-2 ნაწილი.

[8] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-16 მუხლი, 1-ლი და მე-2 ნაწილი.

[9] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-16 მუხლი, მე-3 ნაწილი.

4. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პირობები და პროცედურები

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პირობებისა და პროცედურების შეფასებისას უნდა განვიხილოთ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წესი, საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი, საჯარო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები და საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა წარმოადგენს დაინტერესებული პირის მიმართვას საჯარო დაწესებულებისადმი ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. **საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას.**[10] წერილობითი განცხადების წარსადგენად, ნებისმიერი პირი უფლებამოსილია გამოიყენოს ელექტრონული კომუნიკაციის ფორმა საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების გამოყენებით.[11] **ხორვატიის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ კანონის თანახმად, საჯარო ინფორმაციის მისაღებად, პირმა შესაძლოა წარადგინოს, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი მოთხოვნა შესაბამის ორგანოში.**[12] იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა წარდგენილია ზეპირად ან ტელეფონის მეშვეობით, საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ოფიციალური ჩანაწერის მომზადება ზეპირად წარდგენილი მოთხოვნის თაობაზე.[13] ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით წარდგენილი მოთხოვნა, მიჩნეულია წერილობით მოთხოვნად.[14] საქართველოსა და ხორვატიის კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წარდგენისას, პირი არ არის ვალდებული მიუთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და მიზანი, ასევე მიუთითოს შესაბამის კანონმდებლობაზე.[15]

საჯარო ინფორმაციის გაცემის განსხვავებული ვადები არის განსაზღვრული საქართველოსა და ხორვატიის კანონმდებლობით. **საქართველოს კანონმდებლობით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა,**[16] თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებას და

---

[10] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 37-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.
[11] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 37-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.
[12] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-18 მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[13] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-18 მუხლი, მე-2 ნაწილი.
[14] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-18 მუხლი, მე-2 ნაწილი.
[15]საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 37-ე მუხლი, მე-2 ნაწილი. ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-18 მუხლი, მე-4 ნაწილი.
[16] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-40 მუხლი, 1-ლი ნაწილი.

დამუშავებას,[17] მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებას და დამუშავებას,[18] სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა დაწესებულებასთან კონსულტაციას.[19] **ხორვატიის კანონმდებლობის თანახმად, საჯარო დაწესებულებამ ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მოთხოვნის წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში.**[20] ინფორმაციის მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი შეიძლება გაგრძელდეს 15 დღით,[21] თუ ინფორმაცია საჯარო დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფებიდან უნდა იქნას მიღებული,[22] თუ რამდენიმე განსხვავებული სახის ინფორმაცია არის მოთხოვნილი ერთ დოკუმენტში,[23] თუ აუცილებელია მოთხოვნილი ინფორმაციის სიზუსტისა და ერთობლიობის უზრუნველსაყოფად,[24] თუ საჯარო დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს პროპორციულობისა და საჯარო ინტერესის ტესტი.[25] საჯარო დაწესებულებამ გადაწყვეტილების მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე უნდა აცნობოს პირს მოთხოვნის წარდგენიდან 8 დღის განმავლობაში.[26] ხორვატიის კანონმდებლობის თანახმად, თუ საჯარო ინფორმაციის მიმღები პირი მიიჩნევს, რომ მიწოდებული ინფორმაცია არასრულყოფილი ან არაზუსტია, შეუძლია მიმართოს საჯარო დაწესებულებას მოწოდებული ინფორმაციის შესწორების მოთხოვნით ინფორმაციის მიღების დღიდან 15 დღის განმავლობაში.[27] საჯარო დაწესებულება ინფორმაციის შესწორებას უზრუნველყოფს მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.[28]

საჯარო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები საქართველოსა და ხორვატიის კანონმდებლობის მიხედვით მოიცავს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელს. **საქართველოში ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი განსაზღვრულია კანონით,**[29] ხოლო **ხორვატიაში ინფორმაციის**

---

[17] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-40 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ,,ა" ქვეპუნქტი.
[18] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-40 მუხლი, 1-ლი ნაწილი. ,,ბ" ქვეპუნქტი.
[19] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-40 მუხლი, 1-ლი ნაწილი. ,,გ" ქვეპუნქტი.
[20] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-20 მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[21] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 22-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[22] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 22-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი, ,,ა" ქვეპუნქტი.
[23] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 22-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი, ,,ბ" ქვეპუნქტი.
[24] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 22-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი, ,,გ" ქვეპუნქტი.
[25] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 22-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი, ,,დ" ქვეპუნქტი.
[26] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 22-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.
[27] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 24-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[28] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 24-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.
[29] საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონი.

კომისიონერის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსაკრებლის რაოდენობისა და გადახდის წესის შესახებ.[30]

საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი განსხვავებულად რეგულირდება საქართველოსა და ხორვატიაში. **საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირველ რიგში საჩივრდება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო შემდეგ სასამართლო წესით. ხორვატიის კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო დაწესებულების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, პირი ასჩიავრებს ინფორმაციის კომისიონერთან გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.**[31] კომისიონერი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით საჩივრის წარდგენიდან არა უგვიანეს 30 დღისა,[32] თუმცა იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციის კომისიონერმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გამოიყენოს პროპორციულობისა და საჯარო ინტერესის ტესტი, გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს საჩივრის წარდგენიდან არა უგვიანეს 60 დღისა.[33] ხორვატიის კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაციის კომისიონერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება, თუმცა ადმინისტრაციული დავა შეიძლება ინიცირებული იქნას გადაწყვეტილების მიმღები საჯარო დაწესებულების მიერ უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში, რომელიც საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს 90 დღის განმავლობაში.[34] შესაბამისად, ხორვატიის კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაციის კომისიონერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება ინფორმაციის მომთხოვნი პირის მიერ ინფორმაციის კომისიონერის როლის გათვალისწინებით.

[30] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-19 მუხლი, მე-3 ნაწილი.
[31] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 25-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[32] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 25-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.
[33] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 25-ე მუხლი, მე-6 ნაწილი.
[34] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 26-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.

5. ინფორმაციის გაცემაზე ზედამხედველობის მექანიზმი და პასუხისმგებლობა

ინფორმაციის გაცემაზე ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონმდებლობის აღსრულების მიზნით.

ინფორმაციის გაცემაზე ზედამხედველობის განსხვავებული მექანიზმი არსებობს საქართველოსა და ხორვატიაში. **საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ზედამხედველობა ხორციელდება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოს** მიერ, **ხოლო ხორვატიის კანონმდებლობა იცნობს ინფორმაციის კომისიონერის ინსტიტუტს**. საქართველოსა და ხორვატიის კანონმდებლობა იცნობს საჯარო დაწესებულებების მიერ ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის იმპლემენტაციის თაობაზე. საქართველოში აღნიშნული ყოველწლიური ანგარიში წარედგინება საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს პრეზიდენტს,[35] ხოლო ხორვატიაში ინფორმაციის კომისიონერს.[36]

ინფორმაციის კომისიონერი დამოუკიდებელი ორგანოა და ანგარიშვალდებულია ხორვატიის პარლამენტის წინაშე. ინფორმაციის კომისიონერის მთავარი ფუნქციაა განახორციელოს ინფორმაციის მფლობელი სუბიექტების მიერ ინფორმაციის გაცემის პროცესის მონიტორინგი და უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტური იმპლემენტაცია.[37] ინფორმაციის კომისიონერი წარუდგენს ხორვატიის პარლამენტს ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის ინპლემენტაციის თაობაზე და უფლებამოსილია ინფორმაციის გაცემის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დააკისროს სანქციები.[38]

ინფორმაციის კომისიონერის აპარატში დასაქმებული თანამშრომლები (ინსპექტორები) უზრუნველყოფენ საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის თავისუფლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულების ზედამხედველობას.[39] ინსპექტორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უმაღლესი განათლება სამართლის ან სოციალური მეცნიერების სფეროში, სამ წლიანი სამუშაო გამოცდილება კანონების აღსრულებისა ან ზედამხედველობის სფეროში და სახელმწიფო სალიცენზიო გამოცდის ჩაბარება.[40]

---

[35] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 49-ე მუხლი.
[36] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-60 მუხლი, მე-2 ნაწილი.
[37] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 35-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[38] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 25-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.
[39] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 42-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[40] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 42-ე მუხლი. მე-2 ნაწილი.

ინსპექტორი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში.[41] ინსპექტორები ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულებისას ზედამხედველობას ახორციელებენ საჯარო დაწესებულებების შემდეგ საქმიანობებზე:[42]

1. დანიშნა თუ არა საჯარო დაწესებულებამ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი და მოქმედებს თუ არა აღნიშნული პირი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში;[43]
2. აწარმოებს თუ არა საჯარო დაწესებულება ოფიციალურ ჩანაწერებს ინფორმაციის მოთხოვნის, პროცედურისა და მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე;[44]
3. აქვეყნებს თუ არა საჯარო დაწესებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მოსაკრებლის ოდენობის შესახებ ინფორმაციას;[45]
4. უზრუნველყოფს თუ არა საჯარო დაწესებულება კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას;[46]
5. წარადგენს თუ არა საჯარო დაწესებულება ყოველწლიურ ანგარიშს ინფორმაციის კომისიონერთან კანონის იმპლემენტაციის თაობაზე.[47]

საჯარო დაწესებულებების ზედამხედველობა ინსპექტორების მიერ ხორციელდება ორი ძირითადი ფორმის გამოყენებით: პირდაპირი და არაპირდაპირი ზედამხედველობა. **პირდაპირი ზედამხედველობა** გულისხმობს ინსპექტორის მიერ საჯარო დაწესებულებების მონაცემებისა და დოკუმენტების ადგილზე გაცნობას, მათ შორის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მუშაობის პროცესის დაკვირვებას;[48] **არაპირდაპირი ზედამხედველობა** გულისხმობს საჯარო დაწესებულების მიერ ინსპექტორისათვის წარდგენილი ინფორმაციის შესწავლას.[49]

საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ კანონის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნული კანონით განსაზღვრულია ჯარიმების ოდენობა დარღვევის სიმძიმისა და შინაარსის შესაბამისად.[50] საქართველოს კანონმდებლობა არ აწესებს პასუხისმგებლობას

---

[41] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 44-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[42] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 45-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[43] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 45-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[44] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ ,45-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[45] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 45-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[46] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 45-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[47] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 45-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[48] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 46-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[49] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 46-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.
[50] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 61-ე მუხლი.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

6. ინფორმაციის ხელახლა გამოყენება

ინფორმაციის ხელახლა გამოყენება ხორვატიის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ კანონის ახალი ინიციატივაა, რომელიც ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2003 წლის 17 ნოემბრის დირექტივის №2003/98/EC მოთხოვნებს აკმაყოფილებს.[51] **აღნიშნული ინსტიტუტი არ არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით აღიარებული.**

ხორვატიის კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაციის ხელახლა გამოყენება გულისხმობს ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ **საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის გამოყენებას კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის, რომელიც განსხვავდება საჯარო დაწესებულების მიერ აღნიშნული ინფორმაციის შექმნის მიზნისაგან.**[52] საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის გაცვლა მოვალეობების შესრულების პროცესში არ განიხილება საჯარო ინფორმაციის ხელახლა გამოყენებად.[53]

ინფორმაციის ხელახლა გამოყენების მიზნით, საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ელექტრონული ფორმით.[54] დაინტერესებულმა პირმა ან საჯარო დაწესებულებამ, ინფორმაციის ხელახლა გამოყენების თხოვნით უნდა მიმართოს საჯარო დაწესებულებას და განცხადებაში უნდა მიუთითოს:

1. ინფორმაცია, რომელიც მას სურს, რომ ხელახლა გამოიყენოს;
2. ინფორმაციის მიღების ფორმა;
3. ინფორმაციის გამოყენების მიზანი (კომერციული ან არაკომერციული).[55]

აღნიშნული მოთხოვნის განხილვისას გამოიყენება ინფორმაციის მიღებისათვის კანონით დადგენილი პროცედურები. საჯარო დაწესებულება ოფიციალურ ვებ-გვერდზე წინასწარ აქვეყნებს ინფორმაციის ხელახლა გამოყენების პირობებსა და

---

[51] ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2003 წლის 17 ნოემბრის დირექტივა #2003/98/EC საჯარო სექტორში დაცული ინფორმაციის ხელახლა გამოყენების თაობაზე;
[52] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-5 მუხლი, მე-6 ნაწილი.
[53] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, მე-5 მუხლი, მე-6 ნაწილი.
[54] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 27-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.
[55] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 28-ე მუხლი, 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილი.

მოსაკრებლის ოდენობას ინფორმაციის ხელახლა გამოყენებისათვის.[56] თუ აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე, მაშინ ინფორმაციის მომთხოვნი თავისუფლდება მოსაკრებლის გადახდისაგან.[57]

საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის ხელახლა გამოყენებისათვის დადგენილი პირობები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ხასიათის და ყველა პირს, ვინც ითხოვს ინფორმაციის ხელახლა გამოყენების ნებართვას, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა თანაბარი პირობებისა და თანაბარი მოსაკრებლის გადახდის გზით.[58] საჯარო დაწესებულებამ გამონაკლისის სახით შესაძლოა პირს მიანიჭოს **ექსკლუზიური უფლება ინფორმაციის ხელახლა გამოყენების თაობაზე, თუ ეს აუცილებელია საჯარო მომსახურების უზრუნველყოფისათვის ან სხვა მომსახურებისათვის, რომლის მიმართაც არსებობს საჯარო ინტერესი.**[59] საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის ხელახლა გამოყენების თაობაზე ექსკლუზიური უფლების მინიჭება ექვემდებარება ინფორმაციის კომისიონერის მიერ ზედამხედველობას.[60]

[56] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 32-ე მუხლი.
[57] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 31- მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[58] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 33-ე მუხლი, 1-ლი და მე-2 ნაწილი.
[59] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 34-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.
[60] ხორვატიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 34-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.

რეკომენდაციები

საქართველოსა და ხორვატიის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, წარმოგიდგენთ შემდეგ რეკომენდაციებს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით:

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონმდებლობის მოქმედება გავრცელდეს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კერძო კომპანიებზე;
- განისაზღვროს საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა;
- დაინერგოს პროპორციულობისა და საჯარო ინტერესის ტესტი და საჯარო დაწესებულებების მიერ მისი გამოყენების ვალდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;
- უზრუნველყოფილი იქნას საჯარო ფინანსების ხარჯვის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პროპორციულობისა და საჯარო ინტერესის ტესტის გამოყენების გარეშე;
- განისაზღვროს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესაძლებლობა ზეპირი ფორმით;
- შეიქმნას საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონმდებლობის აღსრულებისა და ზედამხედველობის დამოუკიდებელი მექანიზმი, ინფორმაციის კომისიონერის ინსტიტუტის სახით;
- განისაზღვროს პასუხისმგებლობის ფორმები და სანქციები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;
- საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების ამოქმედების პერიოდისთვის (2013 წლის 1 სექტემბერი) დაინერგოს ინფორმაციის ხელახლა გამოყენების ინსტიტუტი საქართველოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი კანონმდებლობით.

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება უზრუნველყოფს საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული საკანონმდებლო ნორმების გაუმჯობესებასა და საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობის გაზრდას.